

შპს Wishe Enterprise GE

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს Wishe Enterprise GE-ს ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
	კომ.	31.12.23	31.12.22
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	1	43 070,08	99 596,08
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	2 759 537,43	2 727 340,87
მარაგები		14 988,93	14 904,93
		2 817 596,44	2 841 841,88
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	3	16 729 747,65	17 031 625,87
წმინდა არამატერიალური აქტივები		7 849,38	14 420,21
		16 737 597,03	17 046 046,08
		19 555 193,47	19 887 887,96
მიმდინარე ვალდებულებები			
საეაჭრო ვალდებულებები	4	2 933 961,73	2 940 300,15
		2 933 961,73	2 940 300,15
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	5	25 206 102,21	27 692 741,58
		25 206 102,21	27 692 741,58
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		9 463 280,00	9 463 280,00
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)		(18 048 150,47)	(20 208 433,77)
		(8 584 870,47)	(10 745 153,77)
		19 555 193,47	19 887 887,96

დირექტორი

ა. ფენენკო



საქმიანობის შედეგები		
	2023	2022
ამონაგები იჯარიდან	3 021 994,87	3 127 166,98
სხვა შემოსავლები	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(14 896,19)	(25 437,65)
ცვეთა და ამორტიზაცია	(308 449,05)	(313 018,19)
იჯარის ხარჯი	(21 210,17)	(19 965,27)
საპროცენტო ხარჯი	(422 933,52)	(472 983,75)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	(313 789,26)	(316 356,63)
საოპერაციო მოგება	1 940 716,68	1 979 405,49
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	219 566,62	4 171 204,60
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე	2 160 283,30	6 150 610,09
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)	2 160 283,30	6 150 610,09
კაპიტლი პერიოდის დასაწყისში	(10 745 153,77)	(10 745 154,00)
საწესდებო კაპიტალი	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	(3 939 807,09)
კაპიტალი პერიოდის ბოლოს	(8 584 870,47)	(8 534 351,00)

დირექტორი

ა. ფენენკო



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს Wishe Enterprise GE (ს/ნ 404427214, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2012 წლის 6 აგვისტოს. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი #4 ხოლო ფაქტიური ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ., #8/10.

კომპანიის პარტნიორები არიან:

- ვიშერ ჰოლდინგს ლიმიტედი (ს/ნ HE253254, კვიპროსი) – 50%;
- NAIDOO HOLDINGS LIMITED (ს/ნ HE294485, კვიპროსი) - 50%

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - ანატოლი ფენენკო.

კომპანიის საქმიანობაა სასტუმრო მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც სანარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებები

1. ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები	2023	2022
ნაღდი ფული	538,37	538,37
ფული ბანკში	42 531,71	99 057,71
	43 070,08	99 596,08

2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები	2023	2022
მოთხოვნები მომსახურებიდან	1 885 637,47	1 885 637,47
მოთხოვნები პერსონალისადმი	10 255,06	10 304,56
საგადასახადო აქტივი	424 945,65	461 195,23
სხვა მოთხოვნები	173 655,37	105 159,73
მოთხოვნები პარტნიორზე კპიტალის შევსებაზე	246 314,00	246 314,00
გადახდილი ავანსები	18 729,88	18 729,88
	2 759 537,43	2 727 340,87

3. ძირითადი საშუალებები

	31.12.22	წმინდა ცვლილება	31.12.23
ისტორიული ღირებულება			
მიწის ნაკვეთები	1 535 251,00	-	1 535 251,00
შენობა ნაგებობები	18 712 702,09	-	18 712 702,09
მანქანა-დანადგარები	753 208,99	-	753 208,99
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1 323 695,90	-	1 323 695,90
	22 324 857,98	-	22 324 857,98
აკუმულირებული ცვეთა			
შენობა ნაგებობები	(3 517 841,20)	(249 766,08)	(3 767 607,28)
მანქანა-დანადგარები	(632 449,62)	(25 835,70)	(658 285,32)
ავეჯი და სხვა ინვენტარი	(1 142 941,29)	(26 276,44)	(1 169 217,73)
	(5 293 232,11)	(301 878,22)	(5 595 110,33)
საბალანსო ღირებულება			
მიწის ნაკვეთები	1 535 251,00	-	1 535 251,00
შენობა ნაგებობები	15 194 860,89	(249 766,08)	14 945 094,81
მანქანა-დანადგარები	120 759,37	(25 835,70)	94 923,67
ავეჯი და სხვა ინვენტარი	180 754,61	(26 276,44)	154 478,17
	17 031 625,87	(301 878,22)	16 729 747,65

4. სავაჭრო ვალდებულებები

სხვა მიმდინარე აქტივები	2023	2022
მომწოდებლები	144 644,02	152 308,70
მიღებული ავანსები	2 726 451,89	2 726 451,89
ვალდებულებები პერსონალისადმი	62 184,46	60 858,20
სხვა ვალდებულებები	681,36	681,36
	2 933 961,73	2 940 300,15

5. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები	2023	2022
მიღებული სესხები	19 492 851,88	22 356 429,06
გადასახდელი პროცენტები	5 713 250,33	5 336 312,52
	25 206 102,21	27 692 741,58